ხელშეკრულება #26

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ქუთაისი 11/09/2017წ.

ერთის მხრივ სსიპ ქალაქ ქუთაისის №29 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ტარიელ გველესიანის სახით და მეორეს მხრივ, მეორეს მხრივ, ინდ/მეწარმე ,,აკაკი ჭოლაძე" ს/კ 53001050495. მის: ქუთაისი, დუმბაძის ქ.#46; ტელ: 598 80 80 67 (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი აკაკი ჭოლაძის სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 სკოლის საჭიროებისათვის სხვადასხვა საოფისე მოწყობილობები და საკანცელარიო ნივთები (CPV30100000); იზოლირებული კაბელი (CPV313 00000); ავეჯეულობის (CPV 39200000), გასანათებელი მოწყობილობები და ელექტრო ნათურები (CPV 31500000), დანადგარები მექ. ენერგის გამოყენებისათვის (CPV42100000); კონსტრუქციული მასალებისა და ანალოგიური ნივთების (CPV 44100000), ხელსაწყოები, საკეტები, გასაღებები, დამჭერები (CPV 44500000) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 462 (ოთხასსამოცდაორი) ლარი 00 თეთრი.

მათ შორის: CPV 30100000 ---------- 10 (ათი)ლარი 00 თეთრი;

CPV 31300000 ---------- 65(სამოცდახუთი)ლარი 00 თეთრი;

CPV 31500000 ---------- 10 (ათი)ლარი 00 თეთრი;

CPV 39200000 ---------- 45 (ორმოცდახუთი)ლარი 00 თეთრი;

CPV 42100000 ---------- 58 (ორმოცდათვრამეტი) ლარი და 00 თეთრი;

CPV 44100000 ---------- 147 (ასორმოცდაშვიდი) ლარი და 00 თეთრი;

CPV 44500000 ---------- 127 (ასოცდაშვიდი) ლარი და 00 თეთრი.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში შემსყიდველის მისამართზე (ქ.ქუთაისი სულხან-საბას #71ა. სსიპ ქ.ქუთაისის №29 საჯარო სკოლა).

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლ

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0,1%-ის ოდენობით.
6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.
7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი: სსიპ ქალაქ ქუთაისის #29 საჯარო სკოლა. მის: ქ.ქუთაისი, სულხან საბას 71ა. საიდენტიფიკაციო კოდი: 212 809 022 ს.ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ ბანკის კოდი: UGEBGE22 ა/ა GE65VT0500000029293408 დირექტორი: ტარიელ გველესიანი (ხელმოწერა) გ.ა	**მიმწოდებელი:** **მიმწოდებელი:** ინდ. მეწარმე „აკაკი ჭოლაძე“, ს/კ 53001050495 მის: მის: ქუთაისი, დუმბაძის ქ. #46 ტელ: 598 80 80 67 საბანკო რეკვიზიტები: სს „პროკრედიტ ბანკი“ ბანკის კოდი: MIBGGE22 ა/ა GE75PC 0013600100044746 ინდ. მეწარმე აკაკი ჭოლაძე (ხელმოწერა) გ.ა

დანართი N1

ხელშეკრულების საგნის აღწერა

#	საქონლის დასახელება	CPV კოდი	საქონლის ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საქონლის ფასი (ლარი)
1	საზომი ლენტები (5მ)	30192200	ცალი	2	5,00	10,00
2	ელექტროენერგიის ხაზები (ალუმინის 2,5 კვეთი)	31321000	გრძ.მ	50	1,30	65,00
3	ფანარი	31521320	ცალი	2	5,00	10,00
4	ცოცხი	39224100	ცალი	10	4,50	45,00
5	ონკანი სანტექნიკური („არგო“)	42131400	ცალი	8	3,50	28,00
6	სანტექნიკური მოწყობილობები (სიფონი)	42100000	ცალი	10	3,00	30,00
7	ლურსმანი (სხვადასხვა ზომის)	44192200	კგ	5	3,00	15,00
8	ლურსმანი (ბეტონის)	44192200	კგ	1	7,00	7,00
9	ლურსმანი (სადენის დამჭერით)	44192200	პაჭკა	1	5,00	5,00
10	დრეკადი მილი (მავთულის ბადის გარსაცმით)	44165100	ცალი	10	4,00	40,00
11	ონკანი ამომვალი	44111000	ცალი	8	10,00	80,00
12	ბოქლომი (დიდი)	44521210	ცალი	2	4,00	8,00
13	ბოქლომი (პატარა)	44521210	ცალი	5	2,00	10,00
14	კარის საკეტის ნაწილები	44522400	ცალი	6	6,00	36,00
15	სახრახნისი (ფიგურული)	44512800	ცალი	2	3,00	6,.00
16	სახრახნისი (ჩვეულებრივი)	44512800	ცალი	2	3,00	6,00
17	თვითმჭრელი ხრახნები	44531300	პაჭკა	1	6,00	6,00
18	ბურღი (ელექტრო)	44512910	ცალი	1	55,00	55,00
	სულ					462,00

სულ: 462 (ოთხასსამოცდაორი) ლარი და 00 თეთრი.

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ქუთაისი

11. 09. 2017წ

ვადასტურებთ, რომ სსიპ - ქალაქ ქუთაისის #29 საჯარო სკოლისათვის, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ **CPV30100000** ; **CPV313 00000**); **CPV 39200000, CPV 31500000, CPV42100000; CPV 44100000, CPV 44500000** კოდის სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებული ჩვენი საქმიანობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

სსიპ - ქ.ქუთაისის #29 საჯარო სკოლის

დირექტორი: /ტარიელ გველესიანი/

ი/მ „აკაკი ჭოლაძე“ /აკაკი ჭოლაძე/